საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ქსოვრელის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი : 27.05.2021 წ.

ირაკლი ქსოვრელი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		კანდიდატი არის კორექტული და თავდაჭერილი. მას აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კანადიდატს გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მნიშვნელოვანია მისი კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**25**	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში.

			კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. თუმცა, ის არცთუ ისე კარგად იცნობს უზენაესი სასამართლოსა და ზოგადად საერთო სასამართლოების პრაქტიკას. მან კარგად იცის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მას აქვს 9-წლიან პროფესიული გამოცდილება. სამართლებრივ ნაშრომებში კანდიდატი თავის პოზიციასა და განხილულ ინფორმაციას ასაბუთებს სათანადოდ. მის იერ გამოყენებული რელევანტური და მრავალფეროვანი წყაროები მეტყველებს მის კარგ კვლევით უნარებზე.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს გადმოსცემს თანმიმდევრულად, ნათლად და გასაგებად, როგორც წერილობით ისე ზეპირად. მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. კანდიდატს შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს სხვისი მოსაზრება, მათ შორის განსხვავებული. თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად.
პროფესიული თვისებები	13	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შორმისმოყვარე. გამოიკვეთა, რომ მას გააჩნია გარკვეული მენეჯერული უნარ-ჩვევები და ხედვები, თუმცა აღნიშნული საჭიროებს დახვეწას.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი და სურვილი. ამასთან, მან გამოხატა სიახლეების მიმართ ღიაობა, თუმცა გამოიკვეთა რომ გარკვეულ საკანონმდებლო სიახლეებს ის აქტიურად არ ეცნობა. კანდიდატი აქტიურად არ ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და შეხვედრებს.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა მას მომზადებული აქვს ორი სალექციო კურსი, ასევე გამოქვეყნებული აქვს ერთი სტატია.
ქულათა ჯამი	85	100	

დასაბუთება			საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35[1]-ე და 36[3]-ე მუხლების შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ირაკლი ქსოვრელის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ქსოვრელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. თუმცა, კანდიდატს უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმები დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ირაკლი ქსოვრელი სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისირებით ასრულებს თავის ვალდებულებებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა და

	თავშეკავებულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირდება ღიად და გამჭვირვალედ. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის პრინციპული, მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რაც დასტურდება კანდიდატის რეკომენდატორებისა და კოლეგების მიერ შევსებული დახასიათებების შესწავლის შედეგადაც. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ქსოვრელი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატი კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას იცავს ეთიკურობასა და კორექტულობას. ის არის თავშეკავებული და მას აქვს ემოციების მართვის უნარი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი იყო მოსარჩელე სამოქალაქო საქმეზე, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი. კანდიდატი არ წარმოდგენილა დაზარალებულად, ასევე, არ ფიქსირდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, გამოარჩევენ მის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, თავშეკავებულობას, სამართლიანობას, მედეგობას და ა.შ.. თუმცა, ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის ნაკლოვანებად უთითებს მის მიერ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით აზრის შეუცვლელობას, მიუხედავად საწინააღმდეგო პროფესიული არგუმენტების შესაძლო სიმრავლისა. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, ირაკლი ქსოვრელი კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და

სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით დადგენილ კეთილსიდნისიერების კრიტერიუმებს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

სამართლის ნორმების ცოდნა

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის შეკითხვა. დასმულ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატი ცდილობდა გამოევლინდა თავისი ცოდნა და გამოცდილება და შეძლებისდაგვარად ამოეწურა საკითხი. ამასთან, კანდიდატი ღიად აფიქსირებდა საკითხის თაობაზე მის ხელთ არსებული ინფორმაციის არარსებობისა თუ სიმცირის შესახებ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, ის ცდილობდა ლოგიკურად ემსჯელა საკითხზე და გამოევლინა თავისი ანალიტიკური აზროვნების უნარი.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატს აქვს დამაკმაყოფილებელი ცოდნის დონე ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მატერიალურ თუ საპროცესო კანონმდებლობისა. შესაძლებელია ითქვას, რომ სამართლის ზემოაღნიშნულ მიმართულებებში ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით კანდიდატს გააჩნია უფრო მეტად ზოგადი ცოდნა, ვიდრე სიღრმისეული.

ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით კანდიდატმა ვერ განავითარა სათანადოდ ამომწურავი მსჯელობა ისეთ საკითხებზე როგორიცაა: სამოქალაქო თუ ადმინსტრაციულ დავებს შორის განსჯადობის საკითხის განხილვისას განმსაზღვრელი ფაქტორები. კანდიდატმა ვერ გამოავლინა სიღრმისეული ცოდნა ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, კერძოდ, როგორ

	გაიმიჯნება მარტივი და სავალდებულო მოწვევის მესამე პირები, ასევე, უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე სავალდებულო მოწვევის მესამე პირთა ჩართვასთან დაკავშირებით და ა.შ.. კანდიდატმა ვერ განავითარა სათანადოდ დასაბუთებული მსჯელობა გამოხატვის თავისუფლების სფეროში იდეათა თავისუფალი ბაზრის თეორიასთან დაკავშირებით. ამასთან, მან ვერ ამოწურა საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით. ასევე, პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნა და ა.შ.. კანდიდატი იცნობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გამომდინარეობს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესრულების არსიდან. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატი ნაკლებად იცნობს საპროცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს, მაგალითად, მაგისტრი მოსამართლის განსჯად საქმეებს, ასევე, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს და ა.შ.. კანდიდატმა სათანადოდ ამომწურავად და დასაბუთებულად ვერ იმსჯელა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, კერძოდ, მან ვერ განსაზღვრა თუ რა ორგანოა საჯარო სამსახურის საბჭო და რა ფუნქციები აკისრია მას, ასევე ვინ ითვლება სახელმწიფო მოსამსახურედ და ა.შ.. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი თითქმის არ ეცნობა საქართველოს საერთო სასამართლოების, მათ შორის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რაც მან თავადვე დააფიქსირა. საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე მსჯელობის შედეგად მან სრულად ანდა დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 63%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატის სამართლებრივი ნაშრომების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის თავის პოზიციას, ასევე მოწოდებულ ინფორმაციას ამყარებს სათანადო არგუმენტებით, რაც სძენს მის ნაშრომებს დამაჯერებლობას. ამასთან, კანდიდატს

	მოძიებული და დამუშავებული წყაროები და მათი რელევანტური გამოყენება მეტყველებს მის კარგ კვლევით და ანალიტიკური აზროვნების უნარებზე. კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. ამასთან, მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. მსჯელობისას ის განსახლველ საკითხს ცდილობს მიუდგეს სხვადასხვა კუთხით და განიხილოს სხვადასხვა რაკურსით, შესაძლო შედეგების გათვალისწინებით. **<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, დასაბუთებულად, თანმიმდევრულად და გასაგებად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ამას უფრო მეტად ახერხებს წერილობით, ვიდრე ზეპირად. მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს სხვისი მოსაზრება, მათ შორის განსხვავებული. თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ. **<u>პროფესიული თვისებები</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური და შორმისმოყვარე. მან გამოავლინა გარკვეული მენეჯერული უნარ-ჩვევები და ხედვები, თუმცა აღნიშნული საჭიროებს დახვეწას. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი და სიახლეებისადმი ღიაობა, ის არცთუ ისე აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ კანდიდატს არ ჰქონდა ინფორმაცია სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებით, ასევე, მას ჰქონდა მხოლოდ ზოგადი ცოდნა ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით. ამასთან, კანდიდატი არ იცნობს სიღრმისეულად საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონს. კანდიდატი საკმაოდ იშვიათად ესწრება სასწავლო პროფესიულ შეხვედრებს. ამჟამად, კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2013-2015 წლებში კანდიდატმა მოიპოვა შვედეთის ინსტიტუტის ვიზბის პროგრამის სტიპენდია სამაგისტრო სწავლებისათვის. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა მას მომზადებული აქვს ორი სალექციო კურსი, ასევე გამოქვეყნებული აქვს ერთი სტატია.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.